

სადისკუსიო კლუბი #1

თარიღი: 23.06.06

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: ფონდი “ინკლუზივის” და “თანადგომის” საქმიანობის და მომსახურების პრეზენტაცია

მონაწილეები: ფონდი „ინკლუზივის“, საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრ „თანადგომის“, ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები, სულ 20 მონაწილე

განრიგი:

- ფონდი “ინკლუზივის” წარდგენა ჯგუფისთვის
- დსთ-ს პროექტის 2006 წლის საქმიანობის და გეგმების წარდგენა;
- გამოხმაურება დაგეგმილ აქტივობებზე;
- „თანადგომის“ მომსახურების წარდგენა;

შემდგომი საქმიანობა:

1. ფონდი “ინკლუზივი” რეგულარულად გაავრცელებს ინფორმაციას დისკუსიის თემების შესახებ და მოიწვევს ჯგუფის წარმომადგენლებს;
2. ცენტრი “თანადგომა” მოიწვევს დისკუსიებზე და ფილმის ჩვენებებზე თავის ბენეფიციარებს და გამოყოფს მონაწილეებს ჯანმრთელობის საკითხებში. ასევე, ფონდი “ინკლუზივი” ითანამშრომლებს ცენტრის ფსიქოლოგთან, რომელიც მოემსახურება ჯგუფის წარმომადგენლებს.
3. ჯგუფის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რეგულარულად დაესწრონ დისკუსიებს და მიიღონ მონაწილეობა სხვა აქტივობებში ვოლუნტარულ საწყისებზე (შედგება კონკრეტული მოლაპარაკებები).
4. “თანადგომა” და ფონდი “ინკლუზივი” შეთანხმდნენ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის გაცვლაზე.
5. ფონდი “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა დახმარება აღუთქვეს “თანადგომს” ბათუმში მათი ახალი ოფისისთვის ლგბტ ადამიანების მობილიზაციაში.

დისკუსიები:

ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა ჯგუფის წარმომადგენლებს წარუდგინეს პირველი და ერთადერთი ლგბტ ორგანიზაცია. ძირითადი კომპონენტების მოკლე აღწერის შემდეგ წარმოიშვა შეკითხვები, რომლებზედაც ფონდის წარმომადგენლებმა პასუხი გასცეს.

საუბარი იყო ძირითად მომსახურებებსა და აქტივობებზე, განხილულ იქნა მათი გავრცელების მეთოდები. ჯგუფის წარმომადგენლებმა ერთხმად დაადასტურეს ადგილზე პრობლემების გადაჭრის ამგვარი გზების საჭიროება, აქტიურად გამოხატეს ფონდის მიერ შეთავაზებულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მზადყოფნა.

ყველაზე დიდი ყურადღება დაეთმო კავკასიაში პირველ ლგბტ ჟურნალ “მე”-ს. განხილულ იქნა ჟურნალის სათაური, შინაარსი, მოცულობა და დანიშნულება.

“თანადგომის” წარმომადგენელმა ლგბტ საზოგადოებას თავისი ცენტრის მომსახურება შესთავაზეს, კერძოდ: შიდსის პრევენცია, სამიზნე ჯგუფისთვის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგვი) უფასო დიაგნოსტიკა, შიდსზე ტესტირება და ცხელი ხაზის სერვისი.

აღინიშნა, რომ “თანადგომა” სამიზნე ჯგუფისთვის საჭირო მასალას და ბუკლეტებს გამოყოფს.

ცენტრი “თანადგომა” ბათუმში ფილიალის გახსნას გეგმავს, რაზეც მათ ფონდ “ინკლუზივის” დახმარება სთხოვეს ჯგუფის მოძიებაში.

“თანადგომის” წარმომადგენელმა შესთავაზა ფონდის ჟურნალში და ვებ-გვერდზე <http://www.inclusive-foundation.org> “ჯანმრთელობის” გვერდზე ინფორმაციის განთავსება. ორივე საინფორმაციო რესურსი მოემსახურება ფონდის აუთორიტის გაზრდას.

ამასთანავე, “თანადგომამ” ლგბტ ჯგუფში კვლევის ჩატარების საჭიროების საკითხი წამოჭრა, რაც ჯგუფის საჭიროებებს გამოავლენს. ფონდი ინკლუზივის წარმომადგენლებმა “თანადგომს” შეატყობინეს, რომ რამდენიმე კვლევა უკვე ჩატარებულია და ისინი მზად არიან სხვა სპეციფიკურ კვლევებთან დაკავშირებით ითანამშრომლონ.

ჯგუფის წარმომადგენლებმა გაიხსენეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში გამართული წინა დისკუსია და აღნიშნეს, რომ ამგვარი დისკუსიების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფის გაძლიერებისთვის. ფონდის წარმომადგენლმა ყურადღება გაამახვილა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

დასარულს, მონაწილეები შეთანხმდნენ მომდევნო დაგეგმილ დისკუსიაში მონაწილეობაზე და არაფორმალურ გარემოში განაგრძეს ურთიერთობა.

სადისკუსიო კლუბი # 2

თარიღი: 21.07.2006

შესვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: “ქამინგაუთი” (სექსუალური ორიენტაციის აღიარება)

მონაწილეები: 12 მამაკაცი და 7 ქალი მონაწილე, 1 FtM, 1 MtF

შესავალი:

დისკუსიის ფასილიტატორმა (ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელი) შესავალი გაუკეთა “ქამინგაუთის” თემას, განიხილა რამდენიმე თეორიული ასპექტი, ისაუბრა პრაქტიკული რჩევებზე რაციონალური ქამინგაუთის შესახებ. მოახდინა იმ მოსალოდნელი შედეგების და რეაქციის რეზიუმირება, რომელიც, შესაძლოა, ქამინგაუთს მოჰყვებოდა. მან, ასევე, ჯგუფური დისკუსიისთვის რამდენიმე მოსაზრება წამოჭრა.

დისკუსიის ფასილიტატორის მიერ გამართული შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- პირი, ვისთანაც ქამინგაუთს აკეთებ, შემზადებული უნდა იყოს ინფორმაციის ადეკვატური აღქმისთვის;
- ქამინგაუთის პროცესს, შესაძლოა, თან სდევდეს სხვადასხვა ფსიქოლოგიური რეაქცია;
- ნებაყოფლობითი და იძულებითი ქამინგაუთი შეიძლება განხილულ იქნას გარემოების და შედეგების მიხედვით;
- ქამინგაუთის პროცესში გასათვალისწინებელია არსებული კულტურა და ტრადიციები;

დისკუსია:

შესავლის შემდეგ, სიტყვა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეთმო, თავიანთი ქამინგაუთის გამოცდილების გასაზიარებლად. დისკუსიიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- ქამინგაუთი არის სისტემური პროცესი, რომელიც გადადის თვითიდენტიფიკაციის ფაზაში;
- ქამინგაუთის შედეგები განსხვავდება იმ პირების მიხედვით, ვისთანაც აღიარებ საკუთარ ორიენტაციას;
- მეგობრები უფრო პოზიტიურად ან ნეიტრალურად ხვდებიან ქამინგაუთს, ვიდრე – ოჯახის წევრები;
- დები უფრო ადვილად იღებენ სიახლეს, ვიდრე მშობლები;
- მშობლებიდან, უფრო ხშირად, დედასთან ვაკეთებთ ქამინგაუთს, რადგან მოთხოვნილება გვიჩნდება, რომ მას ეს ვუთხრათ;
- ხშირ შემთხვევებში, მშობლებს ურჩევნიათ შვილების ”არატრადიციული” სექსუალობა არ შეიმჩნიონ. გარკვეულ შემთხვევებში, მშობლებმა იციან შვილების სექსუალობაზე, თუმცა, ცდილობენ, აიცილონ პირდაპირი საუბრები ამის შესახებ და ჩვენც ძალაუწებურად, ამ თემას გაუხსნელად ვტოვებთ;
- ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ მშობლებთან ქამინგაუთის გაკეთება ძალიან ეგოისტურია, რადგან მშობლებს აქვთ უფლება, რომ არ იცოდნენ ჩვენი ნამდვილი სექსუალური უპირატესობის შესახებ;

მონაწილეები მოყვნენ როგორც დადებით, ასევე ნეგატიურ ისტორიებს ქამინგაუთის შესახებ. საერთო ჯამში, ზოგადი მოსაზრება გამოითქვა იმის შესახებ, რომ ზოგჯერ, ქამინგაუთი აუცილებელი მოთხოვნილებითაა გამოწვეული, და როგორც წესი, იმ ადამიანისთვის ცხოვრება უფრო ადვილი ხდება, რომელიც საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას აღიარებს.

ტრანსსექსუალი (MtF) პირი თავის ისტორიას მოყვა, რომლის მშობლებიც პრინციპულად ”არ ამჩნევენ” შვილის ”პრობლემებს”. აძლევენ თანხას სექსოპათოლოგთან ვიზიტისთვის, თუმცა არ ინტერესდებიან რა ხდება მის თავს.

ჰეტეროსექსუალ ქალბატონს, რომელსაც ძალიან ბევრი გეი მამაკაცი მეგობარი ჰყავს, ჰკითხეს მასთან გაკეთებული პირველი ქამინგაუთის რეაქციის შესახებ. მან თქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლოიალურად უყურებს ჰომო/ბისექსუალობას, მაინც შოკის მომგვრელი იყო მასთან გაკეთებული პირველი ქამინგაუთი და თავიდან არც უნდოდა, რომ დაეჯერებინა.

დისკუსიის დასასრულს, მოსაზრებები შეჯამდა და მონაწილეებს დაურიგდა კითხვარი ქამინგაუთის გამოცდილებასთან დაკავშირებით. შეივსო 16 კითხვარი. ქვემოთ მოყვანილია თანდართული შედეგები.

კვლევა, ქამინგ აუთი:

კითხვარი დაურიგდა სადისკუსიო კლუბის წევრებს. 16 კითხვარი შეივსო. სამწუხაროდ, გამოკითხვაში მონაწილეთა მცირე რიცხვი არ იძლევა საშუალებას მოვასწინოთ შედეგების განზოგადება. აღნიშნული მცირე ზომის კითხვარები საშუალებას გვაძლევს დისკუსიების დროს შესაბამისი აქცენტები გავაკეთოთ სამიზნე ჯგუფისათვის აქტუალურ საკითხებზე.

აღნიშნული კითხვარი ძირითადად ითვალისწინებდა ქამინგაუთის პროცესში სამიზნე ჯგუფისათვის ყველაზე პრობლემური და ყველაზე სანდო ჯგუფის გამოვლენას; ასევე მათ მზაობას პროფესიონალთა რჩევების მისაღებად.

სტატისტიკა და ანალიზი:

1. ასაკი

რესპოდენტების საშუალო ასაკია – 24,8

ყველაზე ახალგაზრდა -20

ყველაზე უფროსი - 38

2. ბიოლოგიური სქესი

ბიოლოგიური სქესი	რიცხვი	%
1 მამრობითი	12	75.0%
2 მდედრობითი	4	25.0%
სულ	16	100.0%

3. სექსუალური იდენტობა

სექს.იდენტობა	რიცხვი	%
1 გეი	8	50.0%
2 ლესბიანი	2	12.5%
3 ბისექსუალი	2	12.5%
4 ტრანსსექსუალი	2	12.5%
8 “ქვიარ” queer	1	6.3%
10 სხვა	1	6.3%
სულ	16	100.0%

4. საცხოვრებელი ადგილი


უმრავლესობა - 75% ცხოვრობს ოჯახთან ერთად (იხ. ქვემოთ, მე-9 კითხვა - იძულებითი ქამინგაუთი –78% არიან ის ადამიანები, რომლებიც ოჯახთან ერთად ცხოვრობენ).

5. ეკონომიკური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	რიცხვი	%
1 მშობლებზე დამოკიდებული	5	31.3%
2 დამოუკიდებელი	8	50.0%
3 ოჯახის წევრია მათზე დამოკიდებული	3	18.8%
სულ	16	100.0%

ჩვენ ვერ ვიპოვეთ პირდაპირი კავშირი ქამინგაუთისა და ფინანსურ დამოკიდებულებას შორის.


6. იციან თუ არა თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ?



მათ შორის ვინ იცის?

მეგობრებმა	100.00%
თანამშრომლებმა	50.00%
ნათესავებმა	37.50%
ღელამ	37.50%
დამ/ძმამ	25.00%
მამამ	12.50%
ქმარმა/ცოლმა	6.25%
შვილებმა	6.25%

7. ვინ უნდა იცოდეს თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ?




მათ შორის?

მეგობრებმა	75.00%
დამ/ძმამ	37.50%
ღელამ	37.50%
მამამ	37.50%
თანამშრომლებმა	31.50%
ნათესავებმა	12.50%
ქმარმა/ცოლმა	6.25%
შვილებმა	6.25%

აღსანიშნავია, რომ ღიაობის, გახსნილობის სურვილი ყველასთან (ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, თანამშრომლებთან, მეგობრებთან) მხოლოდ 25 წლამდე ასაკის ჯგუფის წევრებს აქვთ, მაშინ, როცა რესპოდენტები 25 წელს ზემოთ ამჯობინებენ მხოლოდ მეგობრებთან იყენენ გახსნილები.

8. მხოლოდ ოთხმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ სჭირდება პროფესიონალის დახმარება ქამინგაუთის პროცესში. თუმცა, ბევრი თვლის, რომ მეგობრის აზრი მნიშვნელოვანია. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ჯგუფის ბევრმა წარმომადგენელმა არც კი იცის, რომ შესაძლებელია ამ პროცესებში პროფესიონალის ჩარევა.

9. ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ქამინგ აუთი?



- ინიციატივა მოდიოდა სამიზნე ჯგუფის წევრებისაგან.
- ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნათესავებს ჰქონდათ “ეჭვი, რომელიც დაუდასტურეს”.

მათ შორის:

1. ნებაყოფლობითი ქამინგაუთის დროს

2. იძულებითი ქამინგაუთის დროს

მეგობრები	81.25%
თანამშრომლები	31.25%
ნათესავები	12.50%
და/ძმა	12.50%
დედა	6.25%
ქმარი/ცოლი	6.25%
შვილები	6.25%
მამა	0.00%

დედა	31.25%
მეგობრები	18.75%
ნათესავები	18.75%
თანამშრომლები	12.50%
და/ძმა	12.50%
მამა	12.50%
ქმარი/ცოლი	0.00%
შვილები	0.00%

გამოკითხულთა მეგობრების 100%-მა იცის მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. 81,2% შემთხვევაში, ინიციატივა თავად სამიზნე ჯგუფის წევრებიდან მოდიოდა. მხოლოდ სამი შემთხვევა აღმოჩნდა, როდესაც რესპოდენტებმა უბრალოდ დაუდასტურეს "ეჭვი" მათი ორიენტაციის შესახებ. ის, რომ ხშირ შემთხვევაში სამიზნე ჯგუფის წევრებს უწევთ დაადასტურონ დედის "ეჭვები" მათი ორიენტაციის შესახებ, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა, დისკუსიების დროსაც გამოიკვეთა იძულებითი ქამინგაუთის ნეგატიურ გამოცდილებაზე საუბრისას. კითხვარის პასუხების მიხედვით ყველაზე ნაკლებ ნდობას მამა იმსახურებს. 75% შემთხვევაში მამამ არაფერი იცის შვილების სექსუალური იდენტურობის შესახებ. მხოლოდ ორი შემთხვევაა, სადაც მამამ იცის (ლესბიანი და ეფტიემი ტრანსსექსუალი).

10. ვინ შეიტყო პირველად თქვენი ორიენტაციის შესახებ და როგორი იყო მათი რეაქცია?

ამ შემთხვევაშიც მეგობრები არიან პირველ ადგილზე. კითხვარში რეაქციების შეფარდება დაახლოებით შემდეგნაირად განაწილდა: უარყოფითი რეაქცია: 4 შემთხვევა (დედა 2; მამა 1; თანამშრომელი 1) დადებითი რეაქცია: 10 შემთხვევა (და 1; შვილი 1; თანამშრომელი 2; მედიცინის მუშაკი 1; მეგობარი 5) ნეიტრალური რეაქცია: 7 შემთხვევა (ქმარი 1; მედიცინის მუშაკი 1; მეგობარი 5)

11. ინფორმირებულობაზე ზრუნვა

რაც შეეხება იმ ადამიანის წინასწარ ინფორმირებას, ვისთანაც გაიხსნენ (ან აპირებენ გახსნას), აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 1,2% იზრუნა (ზრუნავს) ამაზე. დისკუსიის შემდეგ დიდმა ნაწილმა გადააფასა შეხედულებები ამასთან დაკავშირებით. ზოგმა აღიარა, რომ თავადაც არ იცის ბევრი რამ და არ შეუძლია ახლობელთა შეკითხვებს პასუხი გასცეს სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად გამოიკვეთა ფონდის მუშაობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელზედაც არსებობს მოთხოვნა სამიზნე ჯგუფში.

12. ქამინგაუთის საკუთარი გამოცდილების გაზიარება სხვებისათვის

16-დან გამოცდილების გაზიარებაზე თანახმაა 12 კაცი, 4 არ ამჟღავნებს ამგვარ სურვილს. ოთხივე გეია. სხვა პასუხებში, ჩვენ შეგვიძლია მოვხაზოთ მათი ზოგადი დამოკიდებულება – მათ ურჩევნიათ, იმდენად ჩაკეტილნი დარჩნენ, რამდენადაც შესაძლებელია.

მნიშვნელოვანი დასკვნები:

1. 25 წლის ასაკის ქვემოთ პირებში შეიმჩნევა აშკარა გამბედაობა და მზადყოფნა გახსნილობისკენ, რაც ჩვენ იმედს გვაძლევს, მომავალში უფრო ძლიერი ჯგუფის ჩამოყალიბებისა;
2. უარის მიუხედავად, უმეტესობას სჭირდება პროფესიონალის დახმარება ქამინგაუთის დროს;
3. ლგბტ პირებს, მათ ნათესავებს და მეგობრებს მეტი ინფორმაციის მიღება სჭირდებათ სექსუალობის შესახებ. მომავალში, ფონდმა ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს;

სადისკუსიო კლუბი #3

თარიღი: 16.09.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: სექსუალობა სხვადასხვა კულტურასა და რელიგიაში

მონაწილეები: 7 მამაკაცი და 7 ქალი; 1 FtM

შესავალი:

დისკუსიის ფასილიტატორმა (ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელი) შესავალი გაუკეთა თემას სექსუალობა სხვადასხვა კულტურასა და რელიგიაში, ისაუბრა სექსუალობის ისტორიულ, კულტურულ და ეთნოგრაფიულ ასპექტებზე, შედარება გააკეთა საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის კულტურისა და სექსუალური ტრადიციების კუთხით. მან, ასევე, ჯგუფური დისკუსიისთვის რამდენიმე საკითხი წამოჭრა. დისკუსიის ფასილიტატორის მიერ გამართული შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

1. ჰომოსექსუალობასთან დამოკიდებულების ფორმები სხვადასხვა კულტურაში (ალიარებიდან სრულ აკრძალვამდე);
2. ჰომოსექსუალობის დაკავშირებული სოციალური და კულტურული ასპექტები სხვადასხვა კულტურაში;
3. ჰომოსექსუალობასა და, ზოგადად, სექსუალობასთან დამოკიდებულება საქართველოში;
4. ქართული კულტურის თავისებურებანი, რომელიც არატოლერანტულ მიდგომას განაპირობებს;

ფონდი ინკლუზივის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ტაბუირებულ თემად ითვლება არა მხოლოდ “განსხვავებული”, არამედ ზოგადად, სექსუალობის თემა. ისაუბრა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ რიტუალებში არსებულ სექსუალურ თამაშებზე, რომლებშიც მხოლოდ ერთი სქესის ადამიანები მონაწილეობდნენ (მელიაი ტულეფიაი, წყლის აღმა მოხვნა...). ეს რიტუალები ქრისტიანობამდე ეპოქას მიეკუთვნება და დღეს აღარ სრულდება ან მთლიანადაა სახეცვლილი.

დისკუსიები:

შესავლის შემდეგ, თავიანთი მოსაზრება ჯგუფის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. დისკუსიიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- ისეთ საზოგადოებაში, სადაც ერთსქესიანი ურთიერთობები იკრძალება, აბორტიც კატეგორიულად აკრძალულია;
- დიდ ქალაქებში ჰომოსექსუალ ადამიანებს მეტი არჩევანი და საშუალება აქვთ მოძებნონ პარტნიორი;
- დისკუსიის ერთ-ერთმა მონაწილემ ახსენა ქართული იუმორისტული შოუები, სადაც გვი თემატიკა ძალიან აქტუალურია. ამგვარი შოუები ძალიან კარგად იყიდება ჩვენს სატელევიზიო ბაზარზე;
- ადამიანის სექსუალობა არ იზღუდება ჰეტერო/ჰომოსექსუალური მატრიცით. ეს მრავალფეროვანება არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის საფუძველი;

სადისკუსიო კლუბი # 4

თარიღი: 30.09.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: აივ/შიდსი/სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგვი) პრევენცია

მონაწილეები: 9 მამაკაცი და 11 ქალი, 1 FtM, 1 MtF, - მათ შორის 6 ახალი მონაწილე.

შესავალი:

დისკუსიის ფასილიტატორმა (ცენტრ “თანადგომას” წარმომადგენელი) წარმოადგინა თემა აივ/შიდსი/სგვი-ს პრევენცია მსმ-ებში (მამაკაცი, რომელსაც მამაკაცთან აქვს სექსი). “თანადგომას” ამ ჯგუფთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ამ ჯგუფის შერჩევის ძირითადი მიზეზი გახდა ის, რომ მამაკაცთა შორის სექსი ინფიცირების უფრო მაღალ რისკს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ისინი ხშირად იცვლიან პარტნიორებს. ფასილიტატორმა მონაწილეებს პრაქტიკული ინფორმაცია გაუზიარა და რჩევები მისცა უსაფრთხო სექსსა და ინფიცირებისგან თავდაცვის სხვადასხვა გზებთან დაკავშირებით. მან, ასევე, ისაუბრა სხვადასხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, დაავადებების გადამდებ გზებზე, სიმპტომებზე და მკურნალობის პროცესებზე.

ფასილიტატორის მიერ გამართული შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

1. საქართველოში პრე-ეპიდემიური მდგომარეობაა.
2. დაუცველი სქესობრივი კონტაქტების რაოდენობა ძალიან დიდია. მსმ ჯგუფში ძალიან ცოტა იყენებს კონდომს; ვინც მეტად ინტეგრირებულია საზოგადოებაში, უფრო მეტად ზრუნავს, რომ უსაფრთხო სექსი ჰქონდეს.
3. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად არის ადამიანი საზოგადოებიდან გარიყული, მით უფრო ნაკლებია მისი მოტივაცია უსაფრთხო სექსის მიმართ; ასეთები ძალიან იშვიათად ზრუნავენ უსაფრთხო სქესობრივ ურთიერთობებზე.
4. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ. რუსეთში, უკრაინაში და აფრიკის კონტინენტზე აივ/შიდსი-ს ეპიდემიაა.

დისკუსიები:

შესავლის შემდეგ, სიტყვა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეთმო, შიდსის პროფილაქტიკის თავიანთი გამოცდილების გასაზიარებლად. დისკუსიიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- მონაწილეების უმრავლესობა ნიჰილისტურად არის განწყობილი საქართველოში შიდსის ცენტრის თანამშრომლების მიმართ;
- რამდენიმე მონაწილემ უკმაყოფილება გამოთქვა შიდსის ცენტრის მომსახურებაზე, რადგან ისინი დარწმუნებულები არ არიან, რომ მათ სისხლს ნამდვილად გაუკეთეს გამოკვლევა;
- ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ იმ ცენტრში არავინ ზრუნავს კონფიდენციალურობის დაცვაზე;
- ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპირებს, შიდსის ცენტრს მოსთხოვოს სტანდარტების მიხედვით მუშაობა.

სადისკუსიო კლუბი # 5

თარიღი: 21.10.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: ჯგუფის შიგნით ინტერნალიზებული ჰომოფობიის გამოვლენა

მონაწილეები: 14 მამაკაცი და 12 ქალი, 1 FtM, 2 MtF, – მათ შორის 11 ახალი მონაწილე (2 აზერბაიჯანიდან).

შესავალი:

დისკუსიის ფასილიტატორმა (ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელი) დისკუსია განსხვავებული ფორმატით დაიწყო, სადაც ჯგუფური მუშაობის პრინციპი იქნა გამოყენებული. მუშაობაში მონაწილეობა ყველა მონაწილემ მიიღო, რაც დაგვეხმარა ინტერნალიზებული ჰომოფობიის ასპექტების გამოვლენაში.

დისკუსიები:

შესავალის შემდეგ, ფასილიტატორმა მონაწილეები ჯგუფურ მუშაობაში ჩართო.

ჯგუფური მუშაობის დროს ინტერაქტიული მეთოდი იქნა გამოყენებული, რათა უკეთ გამოჩენილიყო ინტერნალიზებული ჰომოფობიის გამოვლინების ფორმები.

დაგეგმილი ჯგუფური მუშაობა რამდენიმე ძირითად ნაწილად დაიყო:

1. დამოკიდებულება სხვადასხვა სექსუალურ იდენტობასთან;
2. ინტერნალიზებული ჰომოფობიის გამოვლინება ჯგუფის შიგნით (ვერბალური ფორმით);
3. თვითშეფასების ადეკვატურობა;
4. ლგბტ ჯგუფის ყველაზე რეპრესირებული ნაწილი;

1. გამოკითხვამ გამოავლინა ჯგუფის წევრების დამოკიდებულება როგორც საკუთარ, ისე სხვა სექსუალურ იდენტობასთან (მათ შორის ჰეტეროსექსუალობასთანაც). მაგ. გამოკითხულთა 42%-მა განაცხადა, რომ ჰეტეროსექსუალად ყოფნა “მოსაწყენი და უინტერესოა”, 53%-მა მას “ნორმა” უწოდა და დაასაისათა როგორც “ბუნებრივი, ჩვეულებრივი”, 5%-მა გამოთქვა აზრი, რომ ჰეტეროსექსუალობა “კარგია”. რაც შეეხება საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, ის დაასაისათეს, როგორც “საინტერესო, განსაკუთრებული, სათავგადასავლო, მშვენიერი” (53%), 31%-მა შეაფასა, როგორც “დაუშვებელი, პრობლემური, ჩაკეტილი/დასშული” და მხოლოდ 16%-მა უწოდა მას ბუნებრივი.

გამოვლინდა ფარული წინააღმდეგობები საკუთარ “არატრადიციულ” სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებითაც: ერთ-ერთი დავალების მიცემისას, როდესაც მათ შესაძლებლობა ჰქონდათ “აერჩიათ” სექსუალური ორიენტაცია იდეალურ, არაჰომოფობიურ გარემოში, გამოკითხულთა 42%-მა განაცხადა, რომ ჰეტეროსექსუალად არჩევდა ყოფნას, 31%-მა ჰეტერო ან ბისექსუალობა დაასახელა. მხოლოდ 30%-მა ისურვა ტრანსად, გეიდ და ლესბოსელად დარჩენა.

2. ჯგუფთან მუშაობისას ერთი თამაში დაეთმო ინტერნალიზებული ჰომოფობიის გამოვლენის ფორმას ვერბალური აგრესიის სახით. ანონიმური გამოკითხვის მეთოდმა აჩვენა, რამდენად ხშირად იყენებენ ჯგუფის წევრები ურთიერთობისას ერთმანეთის მიმართ იმ, მათი აზრით, დამამცირებელ ეპითეტებს, რომელსაც ხშირად ხმარობენ ჰომოფობები.

3. თვითშეფასების ადეკვატურობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა ფსიქოლოგიური ტესტი “არარსებული ცხოველი”. ჯგუფისათვის მიცემული დავალების შესრულების შემდეგ, ყველა ნახატი მოთავსდა ერთად და ჯგუფის წევრებს განემარტათ ტესტის შეფასების საკვანძო პუნქტები (ადეკვატურობა/არაადეკვატურობა, დაბალი/მაღალი თვითშეფასება, შფოთვის დონე, აგრესიულობა და სხვ.), რამაც საშუალება მისცა თითოეულ მათგანს თავად მოეხდინა შეფასება საკუთარი ნახატის მიხედვით ისე, რომ მისეული აღქმა ანონიმურად დარჩენილიყო სხვებისათვის.

4. ლგბტ ჯგუფის შიგნით ყველაზე უფრო პრობლემური ნაწილის გამოყოფას რაც შეეხება, გამოკითხულთა 45%-მა, ტრანსსექსუალები დაასახელა. ჯგუფის აზრით, ისინი, თავისი “ნილულობის” გამო ყველაზე ხშირად ხდებიან ჰომოფობიის გამოვლინების მსხვერპლნი. 25%-ის აზრით, ყველაზე მეტ ზეწოლას განიცდიან ტრანსსექსუალები და გეი კაცები, ამდენივე თვლის, რომ ლგბტ ჯგუფის ყველა წარმომადგენელი თანაბრად იმყოფება რისკის ქვეშ, განდეს ძალადობის მსხვერპლი. რაც შეეხება ლესბოსელებს, მხოლოდ 4% თვლის, რომ ლესბოსელი ყველაზე მეტ ზეწოლას განიცდის. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა იმ 25%-ისა, რომელიც თვლიდა, რომ ზეწოლას ლგბტ ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად განიცდის, არსად, არც ერთ პასუხში გამოყოფილად არ დაფიქსირებულა ბისექსუალთა ჯგუფი. ეს შეიძლება ჯგუფში გავრცელებული სტერეოტიპითაც აიხსნას, რომლის მიხედვითაც, ბისექსუალები ჰომოსექსუალთა იმ ნაწილს წარმოადგენენ, რომელთაც უჭირთ საკუთარი ორიენტაციის აღიარება და ქამინგაუთი.

სადისკუსიო კლუბი # 6

თარიღი: 10.11.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: ტრანსგენდერი

მონაწილეები: 6 მამაკაცი და 8 ქალი, 1 FtM, 2 MtF – მათ შორის 3 ახალი მონაწილე.

შესავალი:

ფასილიტატორის მიერ გამართული (ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელი) შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- დეფინიციები: ტრანსგენდერი, ტრანსექსუალი, ტრანსვესტიტი;
- სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მამრობითი სქესის სრულ მოსახლეობაზე საშუალოდ 1:43000 მოდის ტრანსგენდერი (MtF); ხოლო მდედრობითი სქესის სრულ მოსახლეობაზე საშუალოდ 1:107000 მოდის (FtM);
- ტრანსექსუალობას სექსუალურ ორიენტაციისთან არანაირი კავშირი არა აქვს;
- არსებობს ბევრი სტერეოტიპი ტრანსექსუალების სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა, მათთვის, ვინც აპირებს ან უკვე გაიკეთა ოპერაცია სქესის შეცვლის მიზნით, აუცილებელია ექიმის რეგულარული მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. თვითმკურნალობამ შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს;
- გენდერული თვითიდენტიფიკაციის პროცესი;
- საზოგადოებაში სექსუალური განათლების ძალიან დაბალი დონე. სკოლებში და საგანმანათლებლო ინსტიტუტებში სექსუალობის საგნის სწავლება, ადამიანის სექსუალობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმებთან გაცნობა საგრძნობლად დაწვედა ჰომოფობიის დონეს ბავშვებსა და მოზარდებში.

დისკუსიები:

შესავლის შემდეგ, ფასილიტატორმა მონაწილეები ჯგუფებად დაყო (ორი ადამიანი თითოეულ ჯგუფში), ყოველ მონაწილეს დაურიგდა ფურცელი და დაევალა, დაეწერა, ჯგუფში მის მეწყვილეზე საკუთარი თავისგან სუთი განმასხვავებელი და სუთი მსგავსების ნიშანი.

შედეგების შეჯამებამ (სქესსა და სექსუალობასთან დაკავშირებული ნიშნების სიჭარბემ), ისევე როგორც მსგავსებასა და განსხვავებების დაწერას შორის დროის მნიშვნელოვანი სხვაობამ (მონაწილეებმა მთლიანობაში 6 წუთით ნაკლები მოანდომეს განსხვავებების დაწერას), შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ჯგუფის წევრებში ძალიან ძლიერია “განსხვავებულობის” სტიგმა.

სადისკუსიო კლუბი # 7

თარიღი: 24.11.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: ერთსქესიანი ქორწინება

მონაწილეები: 8 მამაკაცი და 8 ქალი, 1 FtM, 2 MtF, – მათ შორის 2 ახალი მონაწილე.

შესავალი:

ფასილიტატორის მიერ გამართული (ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენელი) შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- დისკუსიის თემა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველი ნაწილი ეხებოდა ერთსქესიანი ურთიერთობების ლეგიტიმაციისა და ქორწინების საკითხებს სხვადასხვა ეპოქებსა და კულტურებში;
- ზოგადად ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ჩამოყალიბების თავისებურებებსა და მნიშვნელობას;
- თანაცხოვრების სხვადასხვა ფორმების ლეგიტიმაციის საკითხები XX საუკუნის მიწურულს;
- მონაწილეებს მიეწოდა პრაქტიკული ინფორმაცია ერთსქესიანი ქორწინებასთან დაკავშირებით.

დისკუსიები:

დისკუსიები ძირითადად მიმართული იყო ლგბტ ჯგუფში და ზოგადად საზოგადოებაში ერთსქესიანი ქორწინებების მიღებულობის საკითხზე. ზოგიერთი მონაწილის აზრით, ოფიციალური პარტნიორობა/თანაცხოვრება საჭიროებას არ წარმოადგენს, ხოლო დანარჩენები თვლიან, რომ ოფიციალური თანაცხოვრობის დაკანონება ხელს უწყობს ორი ერთსქესიანი ადამიანის კავშირის ნორმალურად აღქმას და დიდი ზეგავლენა აქვს მათ ცხოვრებაზე.

ეს დისკუსია პირველი მცდელობა იყო, რომ ჯგუფის ყურადღება მიგვეპყრო ერთსქესიანი ქორწინების საკითხის მიმართ. მით უფრო, რომ ეს ის საკითხია, რომელიც საქართველოს რეალობისგან ძალიან შორს აღიქმება. დისკუსიის ნაწილი დაეთმო დოკუმენტურ ფილმის განხილვას ლესბიური წყვილის ქორწინების შესახებ, რომელიც წინა კინოკლუბში იყო წარმოდგენილი. ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ერთსქესიანი ქორწინების თემა ჯერ არ არის ფართო განხილვის საგანი, გამომდინარე თანმდევნი სოციალური შედეგებიდან.

სადისკუსიო კლუბი # 8

თარიღი: 01.12.2006

შეხვედრის ადგილი: ფონდ “ინკლუზივის” ოფისი

თემა: ლგბტ აქტივისტობა; აქტივისტობა კანადაში

მონაწილეები: 10 მამაკაცი და 8 ქალი, 2 MtF, - მათ შორის 7 ახალი მონაწილე

შესავალი:

ფონდ “ინკლუზივის” წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს მონაწილეებს მობრძანებისთვის და მათ წარუდგინეს ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე კანადელი იურისტი, ექსპერტი მრავალფეროვნების საკითხებში - მაილ კოლმენი, რომელსაც ოცწლიანი გამოცდილება აქვს სამართლის და სოციალური სამართლის საკითხებში კორპორაციულ, საზოგადოებრივ და ინსტიტუციონალურ ქსელში. ამჟამად, ბ-ნ. კოლმენი მუშაობს კანადის იმპერიულ ბანკში უფროს კონსულტანტად მრავალფეროვნების საკითხებში და იურისტთა საზოგადოების სამართლიანობის მრჩეველთა ჯგუფის თავმჯდომარეა კანადაში, ტორონტოში. ბ-ნ. კოლმენი საქართველოში მოიწვია საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო სწავლების ფონდმა ლექციის წასაკითხად ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე სახელმწიფო და კორპორაციულ ინსტიტუტებში. ის სიამოვნებით დათანხმდა ჩვენს დისკუსიაში მონაწილეობას, რომელიც შეეხებოდა ლგბტ აქტივისტობას, და მან გამოთქვა სურვილი, ჩვენთვის გაეზიარებინა კანადის გამოცდილება ლგბტ აქტივიზმის სფეროში.

დისკუსიები:

ბ-ნ. კოლმენმა მოკლედ ისაუბრა საკუთარ თავზე და მის პირად და კორპორატიულ ქამინგაუთზე. სტუმარმა ისაუბრა კანადის ლგბტ მოძრაობის შესახებ. მან აღწერა კანადაში ლგბტ ადამიანებისათვის თანასწორობის მიღწევის პროცესი, ასევე, გამოხატულების თავისუფლების მიღწევა სამუშაო ადგილზე. მან ახსენა პრაიდის (გეი პარადი) ამბავი, როდესაც ბანკის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს, მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი სამსახურის ლოგოთი, მენეჯმენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მან ასევე აღნიშნა, თუ როგორ მოიპოვეს ბანკის პრეზიდენტის მხარდაჭერა შემდგომში. დისკუსიის წამყვანების მიერ ჩატარებული შესავლიდან შეიძლება რამდენიმე ძირითადი ასპექტი გამოიყოს:

- ზოგადად დასავლეთის გამოცდილება და საქართველოს აშკარა გეზი დემოკრატიული ფასეულობებისკენ ხელს შეუწყობს სასურველი შედეგების მიღწევას;
- ქვეყანაში არსებულ ჰომოფობიას შეუძლია საკმაო ბიძგი მისცეს მოძრაობას და უფრო დადებითი კუთხით წარმოაჩინოს ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები;
- საზღვარგარეთ მომუშავე ლგბტ ორგანიზაციების გამოცდილება პროექტის უფრო ეფექტურ განხორციელებას დაეხმარება;
- ფონდის ფასილიტატორმა მონაწილეებს ფონდი ინკლუზივის შემდეგი წლის გეგმები გააცნო და პარტნიორ ორგანიზაციებთან მათ თანამშრომლობაზე ისაუბრა;
- სემინარის შემდეგ, ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებმა თავისი მოსაზრებები გამოთქვეს წამოჭრილი საკითხების მიმართ;

მონაწილეთა უმრავლესობას შეკითხვები დაებადა საქართველოს კანონმდებლობის შესახებ, საზოგადოებრივი აზრის შეცვლის და ლგბტ საკითხებზე მედიასთან მუშაობის შესახებ;

დისკუსიის ბოლოს, მონაწილეები შეთანხმდნენ იმ აზრზე, რომ მოკავშირეების ყოლა და ლგბტ ორგანიზაციებისა და ცალკეული მხარდამჭერების ქსელური მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია წარმატებული მუშაობისთვის.